


STUDIA 21
მის: თბილისი, თ.აბულაძის ჩიხი 1, №10 ტელ: (+995 32) 2 258 105

პროექტის დასახელება:

ქ.თბილისში, დ. ალმაშენებლის №164-ში მდებარე შენობა №33-12-ის არქიტექტურული პროექტი

1. საპროექტო ტერიტორია
2. საპროექტო შენობა

შენიშვნა:

პროექტის ხელმძღვანელი:

გია აბულაძე

პროექტის არქიტექტორი:

ხატია მახარაშვილი

ნახაზის დასახელება

გენ-გეგმა

სტადია: ა-პ	ა-პ
მასშტაბი	1:500
ფურც. რ.	25
ფურც. №	2

წერილის ნომერი: **18-01233413768**
თარიღი: **07/12/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 17-01233353332-18
წერილის თარიღი:	01 დეკემბერი, 2023
განმცხადებელი:	გიორგი შუბითიძე
განაცხადის N	AR1998404
მისამართი	ქ.თბილისი, დავით აღმაშენებელის გამზ. #164
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.13.07.024.026
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	სამსახურის პოზიციის დაფიქსირება
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	თანასაკუთრება
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) საცხოვრებელი ზონა (სზ) გამწვანებული ტერიტორიები
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	საექსპერტო დასკვნა ფოტოსურათები ტოპო.გეგმა
დასკვნა: თანხმობა	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-13 მუხლის პირველი

პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტი;; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, პირველი მუხლის მე-2 პუნტი, N11-58 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტი.

სამსახურის პოზიცია

ტერიტორიაზე მიმდინარე საზოგადოებრივი დანიშნულების მქონე შენობა-ნაგებობის მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციის მიზნით, **სამსახური თანახმაა მოიჭრას 1 ძირი თუთა (#229-31,8სმ); 4 ძირი ხემყრალა (#194-9,6სმ; #200-18,5სმ; #290-14,6სმ; #299-28,7სმ); 1 ძირი აკაკი (#289-3,2სმ); 1 ძირი ტყემალი (#288-28,7სმ); 1 ძირი ლეღვი (#300-19,7სმ); 1 ძირი ქლიავი (#301-4,5სმ) და 2 ძირი ბზა (#295-10,8სმ; #296-9,6სმ).**

ამასთანავე, ვინაიდან მიმდინარეობს შენობა-ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება) განმცხადებელს არ ეკისრება მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტის წარმოდგენის ვალდებულება.

ინფორმაციისთვის

გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის მე-5^1 პუნქტი).

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი